პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 16 (69). ოთხშაბათი, 9 მაისი, 1945 წ. ფასი 1 მან.

**დიდება ჩვენს გმირ წითელ არმიას, რომელმაც დაიცვა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და მოიპოვა მტერზე გამარჯვება!**

ი. სტალინი

## ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი

ამხანაგებო! თანამემამულენო!

დადგა დიადი დღე გერმანიაზე გამარჯვებისა. წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების მიერ დაჩოქებულმა ფაშისტურმა გერმანიამ თავი დამარცხებულად აღიარა და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა.

შვიდ მაისს, ქალაქ რეიმსში ხელმოწერილ იქნა კაპიტულაციის წინასწარი ოქმი. რვა მაისს, გერმანიის მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობის და საბჭოთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელთა თანდასწრებით ბერლინში ხელი მოაწერეს კაპიტულაციის საბოლოო აქტს, რომლის შესრულებაც დაიწყო რვა მაისს ოცდაოთხი საათიდან.

ვიცით რა მგლური ჩვეულება გერმანელი მმართველებისა, რომლებსაც ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი ფარატინა ქაღალდად მიაჩნიათ, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ვერწმუნოთ მათს სიტყვებს. მაგრამ დღეს დილიდან გერმანელთა ჯარები კაპიტულაციის აქტის შესასრულებლად მასობრივად შეუდგნენ იარაღის დაყრას და ტყვედ ნებდებიან ჩვენს ჯარებს. ეს უკვე არ არის ფარატინა ქაღალდი. ეს გერმანიის შეიარაღებული ძალების ნამდვილი კაპიტულაციაა. მართალია, გერმანელთა ჯარების ერთი ჯგუფი ჩეხოსლოვაკიის რაიონში ჯერ კიდევ არიდებს თავს კაპიტულაციას. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ წითელი არმია შესძლებს გონს მოიყვანოს ეს ჯგუფი.

ახლა ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დადგა გერმანიის საბოლოო განადგურების ისტორიული დღე, გერმანიის იმპერიალიზმზე ჩვენი ხალხის დიდი გამარჯვების დღე.

დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აურაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ,—ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. სლავი ხალხების საუკუნეობრივი ბრძოლა თავიანთი არსებობისა და თავიანთი დამოუკიდებლობისათვის დამთავრდა გერმანელ დამპყრობლებსა და გერმანულ ტირანიაზე გამარჯვებით.

ამიერიდან ევროპაში იფრიალებს ხალხთა თავისუფლებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანობის დიადი დროშა.

სამი წლის წინათ ჰიტლერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მის ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის დანაწილება და მისგან კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და სხვა ოლქების მოწყვეტა. მან პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ მოვსპობთ რუსეთს, რათა მან ვერასოდეს ვეღარ შესძლოს წამოდგომა“. ეს იყო სამი წლის წინათ. მაგრამ ჰიტლერის უგუნურ იდეებს ასრულება არ ეწერა,—ომის მსვლელობამ გააცამტვერა ისინი. ნამდვილად გამოვიდა რაღაც იმის პირდაპირ საწინააღმდეგო, რასაც ჰიტლერელები ბოდავდნენ. გერმანია სასტიკად დამარცხდა. გერმანიის ჯარები კაპიტულაციას აძლევენ. საბჭოთა კავშირი გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა იგი გერმანიას არც დანაწილებას უპირებს და არც მოსპობას.

ამხანაგებო! დიდი სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. ევროპაში ომის პერიოდი გათავდა. დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი.

მოგილოცავთ გამარჯვებას, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

**დიდება ჩვენს გმირ წითელ არმიას, რომელმაც დაიცვა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და მოიპოვა მტერზე გამარჯვება!**

**დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!**

**სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში და თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას!**

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა
## წითელი არმიის ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი

1945 წლის 8 მაისს ბერლინში გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

დიდი სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა ხალხი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ეწეოდა, ძლევამოსილად დამთავრდა, გერმანია სავსებით განადგურებულია.

ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო, ადმირალებო და მარშლებო, მოგილოცავთ დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებას.

გერმანიაზე სრული გამარჯვების აღსანიშნავად დღეს, 9 მაისს, გამარჯვების დღეს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი, სამშობლოს სახელით ათასი ქვემეხის ოცდაათი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს წითელი არმიის მამაც ჯარებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებსა და ნაწილებს, რომლებმაც მოიპოვეს ეს ბრწყინვალე გამარჯვება.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

**უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1945 წლის 9 მაისი. № 369



## გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის აქტის ხელმოწერა

### აქტი სამხედრო კაპიტულაციის შესახებ

1. ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ვმოქმედებთ რა გერმანიის უმაღლესი სარდლობის სახელით, ვთანხმდებით მთელი ჩვენი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო შეიარაღებული ძალების, აგრეთვე გერმანიის სარდლობაში ამჟამად მყოფი მთელი ძალების უსიტყვო კაპიტულაციაზე წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობისა და ამავე დროს მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის წინაშე.

2. გერმანიის უმაღლესი სარდლობა დაუყოვნებლივ მისცემს ბრძანებას სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების ყველა გერმანელ სარდალს და გერმანიის სარდლობაში მყოფ მთელ ძალებს შესწყვიტონ საომარი მოქმედება 1945 წლის 8 მაისს 23-01 საათზე ცენტრალური ევროპის დროით, დარჩნენ თავიანთ ადგილებზე, სადაც ისინი ამჟამად იმყოფებიან, სავსებით განიარაღდნენ და მთელი თავიანთი იარაღი და სამხედრო ქონება გადასცენ მოკავშირეთა ადგილობრივ სარდლებს ან მოკავშირეთა უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელთა მიერ გამოყოფილ ოფიცრებს, არ დაშალონ და არავითარი ზიანი არ მიაყენონ ხომალდებს, გემებსა და თვითმფრინავებს, მათს ძრავებს, კორპუსებსა და მოწყობილობას, აგრეთვე მანქანებს, საჭურველს, აპარატებს და საერთოდ ომის წარმოების ყველა სამხედრო-ტექნიკურ საშუალებას.

3. გერმანიის უმაღლესი სარდლობა დაუყოვნებლივ გამოჰყოფს სათანადო მეთაურებს და უზრუნველჰყოფს ყველა შემდგომ ბრძანებათა შესრულებას, რომლებსაც გამოსცემენ წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობა და მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობა.

4. ეს აქტი არ იქნება იმის დამაბრკოლებელი, რომ იგი შეიცვალოს გაერთიანებული ერების მიერ ან მათი სახელით დადებული სხვა გენერალური დოკუმენტით კაპიტულაციის შესახებ, რომელიც გამოყენებულ იქნება მთლიანად გერმანიისა და გერმანიის შეიარაღებული ძალების მიმართ.

5. იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის უმაღლესი სარდლობა ან მის სარდლობაში მყოფი რომელიმე შეიარაღებული ძალები არ იმოქმედებენ კაპიტულაციის ამ აქტის შესაბამისად, წითელი არმიის უმაღლესი სარდლობა, აგრეთვე მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობა, მიმართავენ ისეთ დამსჯელ ღონისძიებებს ან სხვა მოქმედებას, რომლებსაც ისინი საჭიროდ ჩასთვლიან.

6. ეს აქტი შედგენილია რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. აუტენტურია მხოლოდ რუსული და ინგლისური ტექსტები.

ხელმოწერილია 1945 წლის 8 მაისს ქალაქ ბერლინში.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის სახელით:

კაიტელი, ფრიდებურგი, შტუმპფი

დ ა ე ს წ რ ნ ე ნ:

წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის რწმუნებით საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის რწმუნებით ავიაციის მთავარი მარშალი ტედერი

ხელმოწერას მოწმეთა სახით დაესწრნენ აგრეთვე:

ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული საჰაერო ძალების სარდალი გენერალი სპაატსი

საფრანგეთის არმიის მთავარსარდალი გენერალი დელატრ დე ტასინიი

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 9 მაისის გამარჯვების დღესასწაულად გამოცხადების შესახებ

აღსანიშნავად იმისა, რომ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ძლევამოსილად დამთავრდა და წითელმა არმიამ მოიპოვა ისტორიული გამარჯვებები, რაც დაგვირგვინდა სრული განადგურებით ჰიტლერული გერმანიისა, რომელმაც გამოაცხადა უსიტყვო კაპიტულაცია, დაწესდეს, რომ 9 მაისი არის საყოველთაო სახალხო ზეიმის დღე — გამარჯვების დღესასწაული.

9 მაისი ითვლებოდეს არასამუშაო დღედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი 1945 წლის 8 მაისი.

## სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა 9 მაისის გამარჯვების დღესასწაულად გამოცხადების შესახებ, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა — 1945 წლის 9 მაისი ჩაითვალოს არასამუშაო დღედ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა საბჭოთა სახელმწიფო დაწესებულებას— ა. წ. 9 მაისს, საყოველთაო სახალხო ზეიმის — გამარჯვების დღესასწაულის დღეს, თავიანთ შენობებზე აღმართონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ბაირაღი.

# დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის მშრომელთა მიტინგი ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე. სურათზე: ტრიბუნაზე (მარჯვნიდან მარცხნივ) ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ა. რაფავა, გ. გოჩაშვილი, მ. ბარამია, პ. შარია, ი. ტიულენევი, მ. ჯაში, გ. სტურუა. ვ. ბუჯიაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## თბილისის მშრომელთა მიტინგი, მიძღვნილი დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებისადმი

გუშინ დღისით ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა თბილისის მშრომელთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებას და წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებებს.

მიტინგს ოციოდე ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

სტადიონისაკენ დილიდანვე გაემართნენ სადღესასწაულოდ გამოწყობილ, თეხეიმე ადამიანთა კოლონები. გამარჯვების წითელი დროშებით მიდიან გმირი წითელი არმიის, თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშების, რკინიგზელების, რესპუბლიკურ და საქალაქო დაწესებულებათა თანამშრომლების, სტუდენტების, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების მუშაკთა წარმომადგენლები, მოსწავლეები.

ყველა აღფრთოვანებით წარმოსთქვამს ისტორიული გამარჯვების შემოქმედისა და ორგანიზატორის სახელს, საყვარელი ბელადისა და მხედართმთავრის, — მშობლიური სტალინის სახელს. მთელი ფიქრები და გრძნობები მისკენ არის მიმართული. ბელადის პორტრეტი მიუძღვის ყოველ კოლონას, პორტრეტები სიყვარულით მორთულია გაზაფხულის ყვავილებით.

სიხარული, როგორც მთის წყალუხვი ნაკადი მოიცავს თბილისის ქუჩებს და მოედნებს.

ეს ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ზეიმია.

განუწყვეტლივ გუგუნებენ ორკესტრები, თავისუფლად და ლაღად გაისმის სიმღერა. ხან აქ, ხან იქ იწყება ცეკვა.

კოლონები ზედიზედ შედიან სტადიონის ფართოდ გაღებულ ჭიშკრებში.

აქ კვლავ იწყება სიმღერა, ჩაღდება ცეკვა. ხალხი, ათასობით ადამიანი ხარობს, ზეიმობს.

სტადიონის ცენტრალური ტრიბუნის თავზეა ჩვენი გამარჯვებების უძლეველი შემოქმედის ამხანაგ **სტალინის** დიდი პორტრეტი. იქვეა ლოზუნგი:

— გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

ამ სიტყვებში გამოხატულია ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება საყვარელი ბელადისადმი.

ტრიბუნაზე არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, გ. სტურუა, ი. ტიულენევი, პ. ეფიმოვი, მ. ბარამია, ა. რაფავა, ვ. ბუჯიაშვილი, პ. შარია, მ. ჯაში, ს. ხოშტარია, ზ. ჩხუბიანიშვილი, გ. გოჩაშვილი, ე. ჩერქეზია, პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები და სხვ.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. გოჩაშვილი ხსნის თბილისის მშრომელთა სადღესასწაულო მიტინგს, მიძღვნილს დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებისადმი.

ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს. ომის დღეებში შობილი ჰიმნის დიდებული ხმები ნარნარად გაისმის სტადიონზე და ადამიანებს გულს აღუვსებს საბჭოთა სამშობლოსათვის სიამაყით.

ამხ. გოჩაშვილი სიტყვას აძლევს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს, რომელსაც მიტინგის მონაწილენი გულთბილად ხვდებიან.

## ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის სიტყვა

ამხანაგებო!

1945 წლის 9 მაისი ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი დღე. დიდი ხნის ნანატრი სრული გამარჯვება კაცობრიობის დაუძინებელ მტერზე, გამარჯვება, რომლისთვისაც იბრძოდნენ და შრომობდნენ ასეულ მილიონობით ადამიანები მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებში, უკვე მიღწეულია. გერმანიის შეიარაღებული ძალების კაპიტულაციის ამბავმა დიდი სიხარული შეიტანა ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში, თვითეული საბჭოთა ადამიანის გულში. გამარჯვების დღესასწაული, რომელიც ჩვენმა მთავრობამ გამოაცხადა, ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ზეიმის, საერთო-სახალხო სიხარულის დღეა.

საბოლოოდ აღმოფხვრილია სერიოზული საფრთხე, რომელიც თავს დასტრიალებდა ჩვენს ხალხებს საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმასთან დაკავშირებით. ძლევამოსილად დამთავრდა ომი გერმანიასთან.

ჰიტლერელი მტარვალები, რომლებმაც გერმანელები უმაღლეს რასად გამოაცხადეს და თავიანთი თავი მსოფლიოს ბატონებად წარმოიდგინეს, გათელილი არიან წითელი არმიის მძლავრი სვლით.

ახდა ამხანაგ **სტალინის** სიტყვები — ჩვენს ქუჩაზე დადგა დღესასწაული!

საქართველოს საბჭოთა მთავრობის და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით ნება მიბოძეთ მოგილოცოთ, ამხანაგებო, ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს გამარჯვების ეს სასიხარულო დღე — ფაშისტ დამმონებელთა შავბნელ ძალებზე გამარჯვების დღესასწაულის დღე. **(მქუხარე ტაში).**

ომი, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავს მოახვია ჰიტლერულმა გერმანიამ, ოთხ წელზე ცოტა ნაკლებ ხანს გაგრძელდა. ეს იყო ომების ისტორიაში უმაგალითო, დაძაბული სისხლისმღვრელი ბრძოლების წლები.

კაცობრიობის ისტორიაში ვერც ერთი ომი, ყველაზე ხანგრძლივიც კი, ვერ შეედრება მსხვერპლისა და ნგრევის მხრივ ომს, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ.

საბჭოთა ხალხი კანონიერი სიამაყით გადაავლებს თვალს დღეს ძლევამოსილ გზას, რომელიც მან ამ ომში განვლო. ომის მთელ მანძილზე — მის პირველ ეტაპზე წითელი არმიის დროებითი წარუმატებლობიდან გერმანელ ფაშისტთა ურდოების საბოლოოდ განადგურებამდე მათს საკუთარ ბუნაგში — ჩვენი ხალხი ღირსეულად და პირნათლად ასრულებდა თავის დიად ისტორიულ მისიას. ომის პირველი დღეებიდანვე, თავისი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** მოწოდებით, მთელი საბჭოთა ხალხი დაირაზმა ერთიან საბრძოლო ბანაკად, რომელიც თავის სახელოვან წითელ არმიასთან ერთად დიდ განმათავისუფლებელ ომს ეწეოდა ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

მეორე მსოფლიო ომი მასში მონაწილე ხალხების ფიზიკური, მატერიალური და მორალური ძალების გამოცდა გახდა. ომმა დაამტკიცა ჩვენი შეიარაღებული ძალების, ჩვენი ეკონომიკის უპირატესობა გერმანიის არმიებსა და მეურნეობაზე.

ომის შედეგმა კვლავ და კვლავ დაადასტურა:

ა) დიდი ოქტომბრის რევოლუციის მიერ შექმნილი საბჭოთა წყობილების, როგორც ყველაზე მოწინავე სახელმწიფოებრივი ფორმის, ურყევობა და სიმტკიცე;

ბ) სოციალისტური ეკონომიკის—ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლის სიმტკიცე და ძლიერება;

გ) სისწორე საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკისა, რომელმაც უზრუნველჰყო საბრძოლო კავშირის დადება მძლავრ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან;

დ) გერმანელ დამპყრობთა განადგურებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის — ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის, **ლენინ-სტალინის** პარტიის თეორიისა და პრაქტიკის სისწორე, პოლიტიკური სიბრძნე და ერთგულება თავისი ხალხისადმი. **(მქუხარე ტაში).**

ომმა ცხადჰყო ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ერთიანობის ურყევობა, საბჭოთა ქვეყნის ხალხების ძმური კავშირის ურღვევობა, ხალხებისა, რომლებიც ერთსულოვნად დაირაზმნენ ფაშისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის.

ამ ომში კვლავ და კვლავ გამოჩნდა ისტორიული როლი დიდი რუსი ხალხისა — დევგმირი ხალხისა, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ძირითადი სიმძიმე.

რუსმა ხალხმა ჭეშმარიტად დაიმსახურა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების საყოველთაო მხურვალე სიყვარული და მადლობა.

დღეს, გამარჯვების დღესასწაულის ამ ისტორიულ დღეს, მთელი ხალხი თვალს მიაპყრობს და მგზნებარე მისალმების პირველი სიტყვებით მიმართავს იმას, ვინც საბჭოთა ქვეყანა მოიყვანა ამ სასიხარულო დღემდე, — მამას, ბელადს, მასწავლებელს, გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს. (ხანგრძლივი ტაში. მიტინგის ათასობით მონაწილენი მქუხარე ოვაციას მართავენ დიდი სტალინის პატივსაცემად).**

ჩვენი ხალხის ბედნიერება იმაში მდგომარეობს, რომ დიდი განსაცდელის წლებში მის ცხოვრებასა და ბრძოლას წარმართავდა ამხანაგი **სტალინი** — თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი. ამხანაგ **სტალინის** მრავალმხრივი გენია, რომელიც მოიცავს ჩვენი სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და სამხედრო მშენებლობის ყველა დარგს, მისი ფოლადისებური ნებისყოფა, შეუდრეკელი მამაცობა აღაფრთოვანებდა ჩვენს ხალხს დიადი საგმირო საქმეებისათვის.

ჰიტლერელებმა ხელში ჩაიგდეს მთელი ევროპის იარაღი და მრეწველობა. ამიტომ მათ ომის პირველ ეტაპზე ჩვენთან შედარებით უპირატესობა ჰქონდათ ტანკების, თვითმფრინავების, ავტომატური იარაღის, არტილერიის რაოდენობის მხრივ. ჩვენ მარტონი კეწეოდით ომს თითქმის მთელი ევროპის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. მაშინ ჩვენ ომის გამოცდილებაც გვაკლდა. მაგრამ ხალხი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამხანაგ **სტალინის** სამხედრო, პოლიტიკური, ორგანიზატორული გენია მიგვიყვანდა ჩვენი სამართლიანი საქმის საბოლოო გამარჯვებამდე. და დღეს საბჭოთა ხალხმა იცის, რომ თავის გამარჯვებას იგი უნდა უმადლოდეს სწორედ ამხანაგ **სტალინს. (მქუხარე ტაში).**

ამხანაგმა **სტალინმა** დაიცვა ჩვენი სამშობლოს გული — მოსკოვი 1941 წლის ოქტომბრის მძიმე დღეებში. ამხანაგმა **სტალინმა** მოაწყო გერმანელთა განადგურება სტალინგრადთან. ამხანაგმა **სტალინმა** გამოზარდა და დააწინაურა წითელი არმიის ნიჭიერი გენერალიტეტი. ამხანაგ **სტალინის** მიერ შექმნილმა სტრატეგიამ, რომელიც სამხედრო ხელოვნების მწვერვალს წარმოადგენს, ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა დიდ სამამულო ომში. ამ მოწინავე სტრატეგიამ, რომელიც განხორციელებულ იქნა ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, უზრუნველჰყო ჩვენი გამარჯვება.

ამხანაგ სტალინის სიტყვები, მოხსენებები, ბრძანებები სამამულო ომის განმავლობაში, 1941 წლის 3 ივლისის ღირსსახსოვარი გამოსვლით დაწყებული და 1945 წლის საპირველმაისო ბრძანებით დამთავრებული, წარმოადგენდნენ წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელმძღვანელოს ომის წარმოების მძიმე საქმეში.

ეს სტალინური დოკუმენტები წარმოადგენენ ბელადისა და უმაღლესი მთავარსარდლის უბადლო მეცნიერული განჭვრეტელობის ნიმუშებს, შემდგომ უკვე განხორციელებულ წინასწარდასახულობათა ნიმუშებს.

დღეს მთელი კაცობრიობა მიესალმება დიდ მხედართმთავარს, გერმანიაზე გამარჯვების ორგანიზატორს — ჩვენს მშობლიურ **სტალინს. (კვლავ ჰქუხს ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს ამხანაგ **სტალინის** უახლოეს თანამებრძოლებს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, რომლებმაც თავიანთი თავდადებული მუშაობით უზრუნველჰყვეს ჩვენი სამშობლოს დაცვის ამხანაგ **სტალინის** მიერ დასახული გეგმების განხორციელება. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად უდიდეს სიხარულს განიცდის დღეს მთელი ქართველი ხალხი, რომელიც ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ აღზრდილია საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ბოლშევიკების პარტიისადმი, ამხანაგ **სტალინისადმი** სიყვარულისა და ერთგულების ტრადიციებზე. **(მქუხარე ტაში).**

ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს, რომ იგი მთელ თავის ძალებს ახმარდა სამშობლოს დაცვის სამსახურს, რომ მისმა შვილებმა გაამრავლეს თავიანთი წინაპრების საბრძოლო ტრადიციები და მამაცობისა და ვაჟკაცობის ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს სამამულო ომის მატიანეში.

მოვიგონებთ რა დღეს 1942 წლის შემოდგომის მძიმე დღეებს, როცა ულმობელი და ვერაგი მტერი კავკასიის კარიბჭესთან იდგა და ცდილობდა სისხლში ჩაეხრჩო ჩვენი აყვავებული ქალაქები და სოფლები და დაემონებინა საქართველოს და ამიერკავკასიის ხალხები, ჩვენ მადლობით წარმოვთქვამთ ერთგული სტალინელის სახელს, რომელმაც მოაწყო გერმანელთა განადგურება კავკასიაში, — ჩვენი **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** სახელს. **(მქუხარე ტაში, მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივ ოვაციას მართავენ ამხ. ლ. პ. ბერიას პატივსაცემად).**

დღეს, გამარჯვების ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს, საბჭოთა ხალხი განსაკუთრებით აღნიშნავს უკვდავ საგმირო საქმეებს თავისი შვილებისას, რომლებიც დაეცნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი სამშობლოს დაცვის საქმეს, მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

ვდღესასწაულობთ რა გამარჯვების სახელოვან დღეს, უნდა შევფიცოთ ამხანაგ **სტალინს,** რომ საქართველოს მშრომლები მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ იმას, რომ რაც შეიძლება სწრაფად იქნას მოშუშებული ჩვენი სამშობლოსათვის ომით მიყენებული ჭრილობები, მოახმარენ ჩვენი მეურნეობის სრული აღდგენის, ჩვენი დიდი სახელმწიფოს შემდგომი აყვავების საქმეს.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, რომელმაც მოიპოვა ისტორიული გამარჯვება ავაზაკურ გერმანიაზე!

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სტალინურ აღმზრდელს, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!**

ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტია, **ლენინ-სტალინის** პარტია!

დიდება დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში, მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივ ოვაციას მართავენ დიდი სტალინის პატივსაცემად).**

* * *

ამხ. ჩარკვიანის მკაფიო სიტყვას არა ერთხელ სწყვეტს მქუხარე ტაში, მისასალმებელი შეძახილები გმირი წითელი არმიის პატივსაცემად, ამხანაგ **სტალინის,** მის ერთგულ თანამებრძოლთა პატივსაცემად. როცა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი ლაპარაკობს ქართველი ხალხის საყვარელ შვილ ამხანაგ **ლ. პ. ბერიაზე,** კავკასიაში გერმანელთა განადგურების ორგანიზატორზე,—კვლავ ჰქუხს ხანგრძლივი ტაში.

წინადადება შემოდის მიტინგის სახელით მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს ხალხთა ბელადს, საყვარელს მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს.**

ეს წინადადება ახალ ერთსულოვან მქუხარე ტაშს იწვევს. ტაში რამდენიმე წუთს გრძელდება.

ამხანაგ **სტალინისადმი** მისალმების ტექსტს კითხულობს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილი.

მისალმების უკანასკნელი სიტყვები უერთდება ტაშის ახალ ტალღას, რომელიც ერთდროულად ჰქუხს სტადიონის სხვადასხვა კუთხეში და იქცევა საყოველთაო ოვაციად დიდი **სტალინის** პატივსაცემად.

ორკესტრი კვლავ ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

მიტინგი დამთავრდა. აღფრთოვანებული, სიხარულით აღსავსე ადამიანები სტოვებენ სტადიონს. დღესასწაული გრძელდება ბაღებში, ქუჩებში, თეატრებში, სახლებში.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი ზეიმობს.

---

სანდრო შანშიაშვილი

## ცხრა მაისი—ბედნიერების დღეა

ცხრა მაისი უბრწყინვალეს თარიღად დარჩება ახალი კაცობრიობის ისტორიაში.

წითელმა არმიამ უბადლო მთავარსარდლის, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით გაანადგურა ფაშისტური ურდო — შავბნელი კერა შუა საუკუნოებრივი ბნელეთისა, ენით გამოუთქმელი ბარბაროსობისა.

დიდი სტალინის გენიამ იხსნა კაცობრიობა ფაშისტური შავი ჭირისაგან.

ხალხთა ბრძენი ბელადის შორს გამჭვრეტელობამ, ბოლშევიკური პარტიის მთლიანობამ და სიმტკიცემ უზრუნველჰყვეს ბრწყინვალე გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე.

მოწინავე კაცობრიობა ზეიმობს ცხრა მაისს, როგორც ბედნიერების, სიხარულის შარავანდედით მოსილ დღეს.

დედებმა მოიშორეს საფრთხე, რომ მომავალში თავიანთ შვილებზე კვლავ თალხებს ჩაიცვამენ.

ფართო გზა გაეხსნა დიდი სტალინის მეოხებით იმ მიზანს, რასაც მიელტვოდენ უხსოვარ დროიდან დღევანდლამდე კაცობრიობის რჩეული შვილები.

ჩვენ ბრწყინვალე გამარჯვება მოვიპოვეთ, და უეჭველად მოვიპოვებდით კიდეც, რადგან წინ გვიძღვოდა დიდი სტალინი ლენინის დროშით; ეს არის დროშა სიმართლის, გონიერების, კაცმოყვარეობის, სიწმინდის, ვაჟკაცობისა და თავისუფლებისა.

მარადი ხსოვნა ომში დაღუპულთ!

დიდება და გამარჯვება წითელ არმიას!

დიდხანს სიცოცხლე და დიდება **სტალინს!**

---

ილო მოსაშვილი

## დაუვიწყარი დღე

აჰა, ეს დიდებული, დაუვიწყარი დღე, — დღე ჩვენი ქვეყნის საბოლოო გამარჯვებისა ბარბაროსულ ფაშისტურ ურდოებზე, რომელთაც ერთის დაკვრით ეწადათ მოეშალათ დიდი საბჭოთა ხალხის ჩაუქრობელი კერა.

გერმანელ დამპყრობთ უნდოდათ საბჭოთა კავშირის ხალხთან გამანადგურებელი ომი ჰქონოდათ და, როგორც სწორუპოვარი სტალინი მაშინვე დაჰპირდათ, — მათ ეს გამანადგურებელი ომი მიიღეს. თერგსა და ვოლგაზე მოვარდნილმა ხანძარმა ელბაზე და შპრეეზე გადაინაცვლა და ოდესღაც გაბღენძილი ფაშისტი ფელდმარშლები, მოსკოვის კრემლის კოშკებს შორიდან ნერწყვმორეულნი დურბინდებით რომ ელამუნებოდნენ, — დღეს ბერლინის მოედნებზე ყურებ ჩამოყრილნი, უიარაღოდ სდგანან ყოვლის მძლეველი სტალინური სტრატეგიისა და საბჭოთა მხედრობის წინაშე.

დიდია ჩვენი ქვეყნის მსხვერპლი კეთილისა და ბოროტის ამ უმაგალითო ჭიდილში და რამდენადაც დიდია იგი, — მით უფრო ნათლად სდგება ქვეყნიერების წინაშე საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმაღლე, ურომლისოდაც კაცობრიობას ვერაფერი იხსნიდა ფაშისტური ჟამიანობისაგან.

მეორე მსოფლიო ომის ქარიშხალი უკვე ჩადგა, მაგრამ მისი ღრმა ნაკვალევი დიდხანს დარჩება ნაომარ ქვეყანას.

და როგორც ბეჯით გუთნისდედას დიდი დრო დასჭირდება ნაღმებითა და ყუმბარებით გადათხრილ მიწაზე მათი ნაცეცხლარი წაშალოს, ისე ადამიანის სულის ოსტატებსაც ბევრი სამუშაო გვექნება — მას კეთილი წამალი დავსდოთ, — საბჭოთა ადამიანის გმირული სული მართალი ხელით დავხატოთ.

---

## მიტინგი მწერალთა სასახლეში

ცხრა მაისს—საყოველთაო სახალხო ზეიმის დღეს დილიდანვე მწერალთა სასახლეში თავი მოიყარეს მწერლებმა და მათი ოჯახის წევრებმა.

სრულ თერთმეტ საათზე ამხ. დიმიტრი ბენაშვილის სიტყვით გაიხსნა მიტინგი. მწერლებითა და ლიტერატურული ორგანიზაციების თანამშრომლებით გაჭედილი დარბაზი დაძაბული ყურადღებით ისმენს ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის აქტის ტექსტს, რომელსაც ამხ. გ. ჯიბლაძე კითხულობს.

აქტის მოსმენის დასასრულს ქუხს დიდხანს დაუცხრომელი ტაში ჩვენი დიდი ბელადისადმი, ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიისადმი ულრმესი სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველი.

აუწერელი სიხარული ,მთელი საბჭოთა ხალხის ზეიმის ხმა მოისმის ერთი მეორეზე გამოსული მწერლების— გ. ჯიბლაძის, შ. რადიანის ს. ჩიქოვანის ,ს. შანშიაშვილის, ბ. ჟღენტის, ი. გრიშაშვილის მღელვარე სიტყვებში.

— აღსრულდა ომის პირველ დღეებში თქმული ბელადის სიტყვა—ჩვენმა სამართლიანმა საქმემ გაიმარჯვა! ფაშისტური გერმანიის განადგურება უკვე ურყევი ფაქტია. ეს არის საბჭოთა ხალხის ფიზიკური და სულიერი უძლეველობის ნაყოფი, ეს არის ნაყოფი დიდი **სტალინის** სწორუპოვარი ხელმძღვანელობისა, მისი გენიალური სამხედრო ნიჭისა.

დღეგრძელობა და დიდება ბელადს!

დიდება ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას!

დიდება ჩვენს დიად სამშობლოს!

დიდება და უკვდავება სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაცემულ მეომრებს.—ამ აზრებს, ამ განწყობილებებს გამოხატავდნენ ლექსები, რომლებიც მიტინგზე წაიკითხეს გ. ტაბიძემ, შ. აფხაიძემ, ს. ეულმა, ს. თავაძემ, კ. ჭიჭინაძემ, მარიჯანმა, ვ. გაბესკირიამ.

მიტინგის დამთავრების შემდეგ მწერალთა კოლონა შეუერთდა სტადიონისაკენ მიმავალ მშრომელთა კოლონებს.

**გალაკტიონ ტაბიძე**

საქართველოს სახალხო პოეტი

# გამარჯვების დღესასწაული

[illegible]

9 მაისი. 1945 წ.

**კონსტანტინე ჭიჭინაძე**

## იცის—ეს ცნობა ყველგან მივა

იბრძოლა დიდხანს გაფთრებით, გაწყვიტა მტერი,
ბოლოს გაუსხლტა იარაღი მასაც ხელიდან:
ჭრილობა იყო სასიკვდილო, დაჰკარგა ფერი,
და გონმიხდილი გაიყვანეს ბრძოლის ველიდან.

ირწევა თავი... წარბი ისევ შეჰკვრია წყრომით.
საკაცეს ორი სანიტარი ძლივსღა ერევა.
უცებ ყიჟინა შემოესმათ: „გათავდა ომი!"
მომაკვდავს წუთით უბრუნდება ცნობიერება.

მარჯვენა თვალმა ძლივს აზიდა ქუთუთო ზედა.
იცის—ეს ცნობა ყველგან მივა, ყველა მოისმენს.
შევა ამბავი მის ქოხშიც, და მოხუცი დედა
თავსაფრის წვერით სიხარულის ცრემლებს მოიწმენდს.

**ვიქტორ გაბესკირია**

## ცხრა მაისს

ღამეა. ვბორგავ, ვეღარ ვისვენებ.
რაღაც უცნობი ძალა მერევა.
ასე ფარულად როგორ მოსულა, —
ასეთი დიდი ბედნიერება!

გათენდა. ზეიმს, ხალხს გამოვყევი,
ისე ვით ჩრდილი, ჩუმად ვმოძრაობ.
სიხარულია, ყრიამულია!
შენ კი... სადა ხარ ძვირფასო ძმაო?

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტ ა. ა. ხორავას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით რუსთაველის სახელობის ქართული დრამის თეატრის მსახიობი სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ალექსის-ძე **ხორავა** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 30 აპრილი.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ს. შადურის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. როსტომ სიმონის-ძე შადური საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**გ. სტურუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებითი აღმსრულებელი **ა. ჯორბენაძე.**

**არჩილ ჩაჩიბაია**

# გამარჯვება

[illegible]

...გრადიდან, კავკასიონის მისადგომებიდან და თან წაიღეს ვოლგის მოზღვავება, რუსეთის გაშლილ მინდვრებზე გაჯირითების სისწრაფე, კავკასიონის მწვერვალების ქედუხრელობა.

ათასობით კილომეტრები გაიარეს მათ ბრძოლით. გადათელეს მთები, თუ გორაკები, ველები თუ მდინარეები, ჭაობები თუ ულრანი ტყეები. დარჩა უკან დანაღმული ადგილები თუ ძელმიწურები, ფოლადის ხუფებიანი საცეცხლე წერტები თუ ჩაცემენტებული ზღუდეები — მილეწილი, ნამსხვრევებად ქცეული. დარჩა უკან ფერდებჩალეწილი ავტოტრანსპორტიორები, „ფერდინანდები", „სამეფო ვეფხვები".

ვერაფერი ვერ აჩერებდა ჩვენი ტანკების სწრაფვას ბერლინისაკენ; უზარმაზარ ქალაქებში თუ მსხვილ დასახლებულ პუნქტების ქუჩებში გამართულ სიმაგრეებს ისინი ქვის დედამიწას. ამ გუგუნის წინაშე ძრწოდა ბერლინი და ამ გუგუნში, საბჭოთა ყუმბარების ზათქსა და ნიაღვარში სამუდამოდ დასამარდა ბოროტებისა და მზაკვრობის ბუდე.

ბერლინის მისადგომებზე, ბერლინის თავზე ასე გამძაფრებით, რომ დაჰქროდნენ, ეს სტალინური შევარდნები იყვნენ, რომლებიც ვოლგაზე თუ დნეპრზე, ბალტიის ზღვაზე თუ შავ ზღვაზე, პომერანიასა თუ ბავარიაში, აღმოსავლეთ პრუსიასა თუ საქსონიაში, ბუხარესტსა, თუ ბუდაპეშტში, ყველგან, ყველა ფრონტზე მტრის სამხედრო ობიექტებს ფოლადის ნაფოტებად აქცევდნენ.

ისინი იყვნენ ასე გაბედულად, რომ მიდიოდნენ ტარანზე, ღამის შავ კვამლში თუ ვარსკვლავიან ცის ქვეშ, ზამთარში—ქარბუქსა და ყინვაში, თუ ზაფხულში — თავსხმა წვიმასა, დაბალ ღრუბლიანობასა თუ ნისლში,— სიცოცხლის დაუზოგველად ურტყამდნენ ურჩხულებს.

[illegible]

— ცხრა მაისი დაუვიწყარი დღეა! ასეთი შესანიშნავი დღე ჯერ არ ყოფილა!

დროშების წითელი ტყის ნელშრიალში აზვირთებული ხალხით გაივსო თბილისის პროსპექტები, მოედნები და სიმღერით, ცეკვით, ხალისითა და აღტაცებით გაემართნენ ისინი ბერიას სახელობის დინამოს სტადიონისაკენ.

ათი ათასობით მშრომელნი შეიკრიბნენ აქ, ამ სახალხო დღესასწაულის დღეს და საბჭოთა კავშირის ჰიმნის ხმებში, ტაშის გრიალში გულის გასახარებლად ისმოდა ხალხის ძახილი:

— დიდება საბჭოთა ხალხის გამარჯვებისა და ზეიმის დიდ მედროშეს, ჩვენს სიცოცხლეს, ჩვენს იმედს დიდ **სტალინს.**

დიდება ძლევამოსილ წითელ არმიას!

დიდება დიად საბჭოთა ხალხს!



თბილისის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი ლ. პ. ბერიას სახ. „დინამოს" სტადიონზე.

**შალვა აფხაიძე**

# ბელადს სიცოცხლე!

[illegible]

**შალვა ლორთქიფანიძე**

## გათენდა დილა ნანატრი

მე ძილში ჩამწვდა ჰანგი ციური
მსოფლიოო ხალხთა გულთა მპყრობელი;
ჰანგი წარმტაცი, ხმა შორეული
და ამავე დროს რა მახლობელი.

ავთრთოლდი როგორც ჩონგურის სიმი,
აძგერდა გული აღვსილი ლხენით;
ვუცქერდი მზიურ სამშობლოს ღიმილს
და სიხარულის მდიოდა ცრემლი.

კრემლიდან მოსულს ვუსმენდით ზეიმს,—
გამარჯვებული ზარბაზნის გრიალს;
როგორ გადარჩა სამშობლო ჩემი,
„კეთილმან ბოროტს თუ როგორ სძლია".

ოცნებამ ფრთები რარიგ გაშალა,
რა რიგ გათენდა დილა ნანატრი;
თითქოს მივილე ხალისთან ერთად
ომში დაკარგულ ძმისგან ბარათი.

## „ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები"

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" გამოსცა შალვა რადიანის ვრცელი გამოკვლევა — „ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები". შრომა შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან:

წინასიტყვაობა, შესავალი, ისტორიული რომანის განვითარება, ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანების მხატვრული აზრი და სიუჟეტური აღნაგობა, ისტორიული მასალა ვასილ ბარნოვის რომანებში, შემოქმედებითი მეთოდი და მხატვრული სტილი ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებში, ვასილ ბარნოვის მსოფლმხედველობა, ვასილ ბარნოვის ადგილი ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში.

წიგნის რედაქტორია ს. ჩიქოვანი.

წიგნი შეიცავს 170 გვერდს და ღირს 25 მან.

## საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოში

1945 წლის 21 ოქტომბერს სრულდება დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ მელიტონის-ძე ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით შეიქმნა პოეტის გარდაცვალების 100 წლისთავის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომიტეტი, რომელშიც შედიან: მ. ჯაში (თავმჯდომარე), გ. ლეონიძე (თავმჯდომარის მოადგილე), გ. ჯიბლაძე (მდივანი), ა. ვასაძე, ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, ს. ჯანაშია, უ. ჯაფარიძე, ს. დონაძე, პ. ინგოროყვა, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, კ. კეკელიძე, ვ. კუპრაძე, ვ. მაჭავარიანი, ი. მოსაშვილი, შ. მშველიძე, ბ. ნანიტაშვილი, გ. ნატროშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, რ. შადური.

## დავით სულიაშვილის შემოქმედებითი საღამო

შვიდ მაისს მწერალთა სასახლის დარბაზში მოეწყო დავით სულიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო. რვა საათისათვის დარბაზი გაივსო მწერლებით, ხელოვნების მუშაკებით, მრავალი მკითხველით, ჩვენს საზოგადოებაში დიდი ყოფილა სურვილი იმ მწერლის შემოქმედებითი მუშაობის შეფასებისა, რომელიც თითქმის ოცდათუთხმეტი წელიწადი დაუღალავად იღწვის. რომელსაც მრავალი მკითხველი ჰყავს, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი შემოქმედება დღემდე არ გამხდარა ფართო განხილვის საგნად.

დასაწყისიდანვე საღამოს ინტიმური ტონი მისცა ლეო ქიაჩელის შესავალმა სიტყვამ. ეს იყო სიტყვა არა მარტო თანამოკალმის, არამედ მრავალი წლის ჭირისა და ლხინის თანამოზიარის, რომელსაც ეს თანაზიარობა საშუალებას აძლევს უფრო ღრმად ჩასწვდეს და მიუხვდეს თანმეზრდილ მეგობრის ნათქვამს და დაწერილს.

დაძაბული ყურადღებით მოუსმინა აუდიტორიამ მომხსენებელს ლევან ასათიანს, რომელმაც ზუსტად და სწორად დაახასიათა დავით სულიაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა და გაარკვია მისი ადგილი თანამედროვე ქართულ მწერლობაში. ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლა და რიგითი ქართველი რევოლუციონერის ღვაწლი—აი ღერძი, აი ძირითადი მოტივი სულიაშვილის შემოქმედებისა. დ. სულიაშვილმა გამოკვეთა დაუვიწყარი სახეები უჩინარი მებრძოლებისა, მხატვრული სიმართლით! და დამაჯერებლობით აღადგინა განსაცდელით აღსავსე მათი ცხოვრება, მათი წარმტაცი თავგადასავალი 1905 წლის რევოლუციის და მისი მომყოლი წლების მანძილზე. მანვე დასწერა მოთხრობები სადაც ცხოვლად დაგვიხატა ბავშვობა, ყრმობა და მოწიფულობა იმ თაობისა, რომელმაც ჩვენს ქვეყანას სახელოვანი მებრძოლი რევოლუციონერები მისცა.

გულთბილი სიტყვით გამოვიდა კონსტ. გამსახურდია.

— მწერლობა სულიაშვილისთვის იყო და არის,—სთქვა მან—დიდი საზოგადოებრივი მოწოდება, ის სწერდა არა სახელისა და დიდების, არა უზრუნველყოფილი მდგომარეობის მოპოვებისათვის, არამედ იმისთვის, რომ ხალხი ზიარებოდა მოწინავე იდეებს და გაეცნობოდა ამ იდეებისათვის მებრძოლ ადამიანებს ამ მხრივ დ. სულიაშვილი განაგრძობდა და განაგრძობს ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს. ლიტერატურული ახალგაზრდობისათვის მისი მწერლობა იმიტომაც არის მისაბაძი, რომ დ. სულიაშვილს კალმისთვის ხელი არ მოუკიდია მანამდე, ვიდრე ცხოვრების დიდი გამოცდილება არ შეიძინა, ვიდრე არ იგრძნო აუცილებელი შინაგანი მოთხოვნილება ეთქვა ის, რაც მას აწუხებდა და აღელვებდა როგორც მოქალაქეს.

ე. ასტვაცატუროვი შეჩერდა სამამულო ომის პერიოდში დაწერილ დ. სულიაშვილის მოთხრობებზე და აღნიშნა, რომ მწერალმა ა ნაწარმოებებში გვიჩვენა სულიერი სიდიადე, მაღალი პატრიოტული სულისკვეთება ლენინ-სტალინის ეპოქის ადამიანებისა.

— დ. სულიაშვილი,—ამბობს ბესო ჟღენტი,—ძვირფასია ჩვენთვის როგორც პროფესიონალი მებრძოლი-მწერალი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო დიდი ბელადების — **ლენინისა** და **სტალინის** წრეში, აღზრდილიყო მათი იდეურ-მორალური ზეგავლენის ატმოსფეროში, მწერალი, რომელმაც განიცადა და განგვაცდევინა ამ გმირ ადამიანთა შთამგონებელი ზემოქმედება რიგითი მებრძოლებზე და სახალხო მასებზე.

ს. თავაძემ გაიხსენა ის ძლიერი და გამამხნევებელი შთაბეჭდილება, რომელსაც სულიაშვილის მოთხრობები სტოვებდნენ საპატიმროში მყოფ რევოლუციონერებზე.

— დ. სულიაშვილის რომანები და მოთხრობები,—განაცხადა ს. კლდიაშვილმა, ცოცხალი მატიანეა იმ დღეთა, როცა გაღვიძებულმა ხალხმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაიწყო თავისი უფლების მოპოვებისათვის, განსაკუთრებით აღსანიშნავია პატარა მოთხრობა „ჩიკორი", რომელიც ნათლად ამჟღავნებს სულიაშვილის მხატვრულ შესაძლებლობას, მისი წერის თავისებურ მანერას.

დემნა შენგელაია ქართული ლიტერატურის შენაძენად სთვლის დ. სულიაშვილის მემუარულ-ფაქტოლოგიურ ნაწარმოებებს, სადაც მან მხატვრული სიმართლითა და სიზუსტით მოგვცა საქართველოს საზოგადოების ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპები და ყოფითი სურათები.

— უეჭველია დიდი ხარვეზი იქნებოდა თანამედროვე ქართულ მწერლობაში,—სთქვა ამხ. ვ. წულუკიძემ, რომ არ გვქონოდა დ. სულიაშვილის „ჩიკორი", „ნაღვერდალი", „მოთხრობები შორეულზე", „ყრმობა" და სხვა, სადაც ასახულია სოციალური ძვრები და დიდი გარდატეხანი ქართველი ხალხის ისტორიაში. ზვევლინება რა რევოლუციური მოძრაობის მემატიანედ, დ. სულიაშვილი მოვლენებსა და ადამიანებს ხედავს კეთილშობილი, რევოლუციონერი ჰუმანისტის თვალით.

დასასრულ, მოგონებით დ. სულიაშვილთან ერთად ემიგრაციაში გატარებულ წლებზე გამოვიდა გერონტი ქიქოძე. იმ წრეში, სადაც ჩვენ მოვხვდით, გამეფებულმა მეშჩანურ ოპორტუნისტულმა განწყობილებამ, — სთქვა გ. ქიქოძემ,—ოდნავ ვერ ჩაკლა დ. სულიაშვილის რომანტიულ-რევოლუციური გატაცება და უსაზღვრო ერთგულება ჩვენი დროის მაღალი იდეალებისათვის, რამაც მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა მის შემდგომ შემოქმედებაში.

სიტყვების დასასრულს რუსთაველის თეატრის მსახიობებმა ეკატერინე ვაჩნაძემ და მედეა ჩახავამ დიდი გრძნობით წაიკითხეს ნაწყვეტები დ. სულიაშვილის ნაწარმოებებიდან.

მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა და ყვავილები მიართვა საყვარელ მწერალს.

**ირაკლი აბაშიძე**

# ფრონტელი პოეტი

სასტიკ ბრძოლებში, სამამულო ომის ველებზე გამოიწრთნენ ჯავშანჩაცმული ჩვენი ახალი მგოსნები, რომელთა პოეტურ სახელს ამ ქვეყნად არავინ იცნობს, მაგრამ ჩვენთვის უკვე გამოკვეთილია მათი, სამამულო ომის უსახელო მგოსნების — ტიპიური ფიგურა, ისე როგორც ვთქვათ ფიგურა — მზვერავისა (მინდვრისფრად აჭრელებულ კომბინეზონში) ან ტანკისტისა (თავზე სქელი ტყავის მუზარადით) ან, ვთქვათ მფრინავის ფიგურა.

მე იგი მეჩვენება ბრძოლის ველზე მიწურში, ოთხში ჩუმად მიმჯდარი, დაღლილი, ამხანაგთაგან განცალკევებით, დაფარულად (თითქოს მუდამ დედას სწერდეს წერილებს) უბის წიგნაკში მზრუნველად ინახავს ლექსის სტრიქონებს (ვინ იცის, იქნებ თუ თვითონ არა, წიგნაკი მაინც გადარჩეს):

„ვფიცავ დიდებას, რუსთაველს, საიდს
ვფიცავ შენს სახელს, შენ საქართველოვ,
ვფიცავ მივიღებ სიკვდილის საათს
ქედმოუხრელი როგორც გასტელო,

დავტოვებ მხოლოდ გასისხლულ ბარათს,
რომ მასზე დედამ ილოცოს მარად".

ან მეჩვენება ის ტრიალ მინდორზე, ხისქვეშ მიმჯდარი (მებრძოლი ნაწილის ხანმოკლე დასვენების დროს), პოლტავის ან ჩერკასის ახლო მეცქერის:

„წადით ღრუბლებო, ცივ-გომბორზე
დედას უთხარით,
რომ ცოცხალი ვარ, ბრძოლებს გადავრჩი"
და მერე: (ისევ ღრუბლებს)
„გზა მშვიდობისა, ვიცი მიხვალთ მოხუც
მეუხასთან
და ჩემს მაგიერ აქვითინდებით".

ან მეჩვენება ის ფიცხელი შეტევის შემდეგ კვამლსა და მტვერში გამურული, ისევ ამხანაგთაგან დაფარულად უბის წიგნაკში სწერს:

„ყოფნა-არყოფნის იდუმალ დრამას
საკუთარ სისხლით და ცრემლით ვწერდი",

სიკვდილის ბუნებრივია, მას უფრო ეშინია, ვინც უფრო ხშირად და მეტად ფიქრობს მასზე: ახალგაზრდა კაცს საფიქრებელი სხვაც ბევრი აქვს, მით უმეტეს მას, ვინც სიკვდილს დიდი ხანია უკვე ებრძვის სამამულო ომის ველებში პრუტიდან ვოლგამდე და შემდეგ სტალინგრადიდან ბერლინამდე, და როცა ეს უბის წიგნაკიანი ახალგაზრდა მეომარი იტყვის:

„ჩადგა გრიგალი, სიყვარული ვარსკვლავებს
ვკითხე
ჩავეკარ მიწას, სიყვარული შევფიცე ამით,
მე ყველაფერზე, ყველაფერზე ვფიქრე
დიდხანს,
მაგრამ სიკვდილზე მეგობარო არცერთი
წამით".

არამცთუ ნამდვილად გჯერა, არამედ გიკვირს კიდეც და თუ პოეტი ხარ, გიხარიან კიდეც, რომ სიკვდილთან ბრძოლაში ამ მეომარის მღელვარე სულს ამშვიდებდა პოეზია, რომელზედაც მან უთუოდ პირველ რიგში იფიქრა მაშინ, როცა „ყველაფერზე, ყველაფერზე" ფიქრობდა დიდხანს.

ვოლგასთან იგი შორეული დონეცის ნაპირების მოგონების დროს (რომელიც მან დროებით უკანსვლის დროს ოდესღაც დასტოვა) ნაღვლიანად, მაგრამ ვაჟკაცურად იტყვის:

„დამარტყან ხმალი, ვერ მინახვენ მტირალს
მაწვიმს ლაჟვარდი და საფირონი".

ამ მეომარ პოეტს პოეზია არსად არ სტოვებს და იგი მისთვის ყველაფერია. პოეზია უდრის მისთვის სამშობლოსათვის თავგანწირვას, გმირობასა და ვაჟკაცობას:

„სამშობლოსათვის სიკვდილი—გწამდეს,
პოეზიაა უდიადესი".

სიკვდილიც კი (რომელზედაც იგი თითქოს არასდროს არ ფიქრობს) პოეზიაა, თუ მას სამშობლო გადაეღებს, და თუ ბრძოლის ველზე დაეცემა, ის დაუტოვებს ბარათს დედას, ან სადღაც დარჩენილ რუსის გოგონას, ლილი ვაროვიჩს და მისწერს:

„ნუ მოიცრემლები, გავიგებთ განა,
საშინელ ომში ბედის მისნობას?
ამ მკაცრ ბრძოლაში პირისპირ დგანან
დავიწყება და მარადისობა".

ასე წარმოგვიდგება ჩვენ ტიპიური ფიგურა სამამულო ომის ჯერ უსახელო პოეტის, ისევ როგორც შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ფიგურა მზვერავისა, ტანკისტისა ან მფრინავის.

ეს ლექსები ეკუთვნის ფრონტელ მეომარს დავით პატარიშვილს.

მაიაკოვსკი სწერდა: „დიახ, ნუ გაეცინებათ კრიტიკოსებს: მე რომელიმე ალიასკელი პოეტის ლექსებს უფრო მაღლა დავაყენებდი, ვიდრე იალტელი პოეტის ლექსებს (რასაკვირველია თანაბარ ნიჭიერებათა შემთხვევაში). რატომაც არა! ალიასკელს კიდეც უნდა შესცივდეს, მან ქურქიც უნდა შეიძინოს, იმას მელანიც კი ეყინება სამელნეში; ხოლო იალტელი სწერს პალმების ფონზე, იქ, სადაც ულექსოდაც კარგია ყოფნა".

მე ხელთ მიჭირავს დავით პატარიშვილის პატარა წიგნაკი. ამ წიგნაკში ლექსებს თარიღებთან ერთად (1941-1944 წლები) ქვემოთ აწერიათ: ქ. ქ. ბელცი, ხარკოვი, კატოვიცი პოლტავა, დნეპროპეტროვსკი, ჩერკასი, სტალინგრადი და მერე ისევ დნეპროპეტროვსკი, ხარკოვი და სხვ.

რაღ უნდა თქმა, რომ ეს გზა უფრო ძნელია, ვიდრე ალიასკის ყინულებში ჯდომა, მაგრამ საქმე მარტო ამაში როდია. ჩვენს ყურადღებას იქცევს ის, რომ მეომარ პოეტს თავის მძაფრ განცდებისათვის მოუნახავს ისეთი ნათელი, ნიჭიერად უბრალო გამოსახვის ფორმა რომლითაც გაცილებით მკაფიოდ გვაგრძნობინებს თავის თავს, ვიდრე ბევრი მისი ტოლი და თუ გნებავთ, ბევრი უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი. ამას იგი აღწევს თავისი გულწრფელობით, უშუალობით და პოეტური საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით. მართალია, მის ლექსს ხშირად სინედლის სუნი ასდის, მაგრამ რაც მთავარია მას არ სჭირს „საყმაწვილო სენი". მას არ ეშინია უბრალოდ სთქვას პოეტური ფრაზა.

სამამულო ომის დღეები მძაფრი განცდების დღეებია საბჭოთა ადამიანებისათვის. ბუნებრივია, მთავარი განსაცდელი ჩვენმა ფრონტელებმა განიცადეს. ჩვენმა ფრონტელმა ახალგაზრდა თანამოკალმეებმა რასაკვირველია, მეტი განიცადეს და ჩვენ ველით ბევრს რასმე ახალს ქართულ პოეზიაში.

დავით პატარიშვილის ლექსები, ვიმეორებ ჩვენს ყურადღებას იქცევს თავისი უშუალობით, იგი თავის ლექსებს სწერს როგორც ბარათებს, წერილებს, სწერს თავის მეგობრებს ფრონტიდან ფრონტებზე, ზოგჯერ მათი საველე ფოსტის ნომერიც არ იცის, ზოგჯერ არც ის იცის ვინ გადარჩა მათგან, ვინ სად დაეცა:

„სად დაეცი, რომელ ფრონტზე
მეგობარო ჩემო".

როცა მრისხანე სინამდვილე დაარწმუნებს მას, რომ ნაწილი მეგობრების უკვე დაეცა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, იგი ჩასწერს თავის უბის წიგნაკში:

„იძინეთ წყნარად, იძინეთ დიდხანს,
რა ვქნა სიკვდილზე დუმილი მიმძიმს,
მოვერცხლილ ცაზე ამოვიკითხავ
თქვენი თვალების იდუმალ ციმციმს.
თქვენზე იგლოვებს მიწაც ჯვარცმული
შავს ჩაიცვამენ თეთრი ტყემლები,
ჩამოვა მთვარე ძაძებჩაცმული
და დაგიტირებთ დედის ცრემლებით".

ან სამშობლოს მოგონების დროს არ შეუძლიან არ სთქვას:

„ჩემი სამშობლო, მზით დადაფნული
სილამაზის და ვარდების მხარე
ცა, ვარსკვლავები, პირბადრი მთვარე
მთები ზურმუხტი და გაზაფხული
მომძახის როგორც წკრიალა ზარი
მშობლიური და დაუვიწყარი".

ან კიდევ კავკასიის მთებში ბრძოლების შემდეგ:

„მიხმობს შორიდან კავკასიონი
შვილებზე დარდით გათეთრებული"

ან ჩვეულებრივი ბარათის ნაცვლად გალექსილი სტრიქონებით პასუხობს სატრფოს.

„მინდა ამ წარმტაც მაისის დილით
ხმა აღტაცებით შენც მოგაწვდინო,
სამი წელია ვით ავთანდილი
დავეხეტები უთინათინოდ".

და მრისხანე განსაცდელის წინ:

„დარეკა ჟამმა... შეტევაზე სიმღერით მივალ,
გზა დამილოცე გენაცვალე, გზა დამილოცე".

ეს ფაქიზი სიყვარული მართლაც კარგად არის გადმოცემული.

ეს ლექსები იმ ადამიანს ეკუთვნის, რომელსაც არა შეუძლია არ დასწეროს, არ შეუძლია ამავე დროს უშუალო არ იყოს და არ შეუძლია ნათლად და უბრალოდ არ გადმოგვცეს ის, რასაც განიცდის. ეს სტრიქონები კონკრეტულ მისამართებისთვისაა განსაზღვრული და მისი ავტორი პოეზიით არ თამაშობს. არც რაიმე ლიტერატურულ თეორიას თუ კანონს ამტკიცებს თავის ლექსებში, გარდა ერთისა, რომ პოეტმა უნდა განიცადოს, ეს განცდა უნდა იყოს ნამდვილი და არა გამოგონილი და შემდეგ სხვასაც განაცდევინოს.

ამიტომ მე სიამოვნებით ვწერ ამ შენიშვნებს ახალგაზრდა ფრონტელი პოეტის დ. პატარიშვილის უბის წიგნაკზე, რომელიც თავისი უბრალოებით ასე გვიზიდავს. ეს ლექსები ჯერ გამოუცემელია, და რომ ამით გამოწვეული უხერხულობა ამეცილებია მკითხველისათვის, მიტომ მოვიყვანე ჩემს წერილში ადგილები ასე ბლომად.

ეტყობა შემდეგშიც თავის პოეტურ გზაზედ ეს ახალგაზრდა პოეტი რეალისტი იქნება და თანამიმდევრული რეალისტიც. ცეცხლსა და ფოლადის წვიმაში გაზრდილ ადამიანს არ შეუძლია არ იყოს რეალისტი.

ბიბლიოგრაფია

## ი. გრიშაშვილი—„იყავით ფრთხილად!"

პოეტ იოსებ გრიშაშვილის საბავშვო წიგნი „იყავით ფრთხილად", რომელიც ახლახან გამოვიდა, გათვალისწინებულია სკოლამდელი ასაკის ნორჩი მკითხველისათვის. წიგნის ძირითადი მიზანია გამოიმუშაოს ბავშვში სიფრთხილის გრძნობა ცეცხლთან დამოკიდებულებისას.

ამ საბავშვო პოემაში ნაწარმოების სუჟეტს პოეტი ჰქმნის არა ამბავის თანმიმდევრული გაშლით, არამედ მხატვრული იდეის მთლიანობით. საბავშვო ლიტერატურაში მრავალია (და საჭიროც არის) ასეთი წიგნები, აქ პოეტური ტექსტი და ფერწერითი ილუსტრაცია ჰქმნიან მთლიან კომპოზიციას, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კი ისინი არ არიან მთლიანი ფორმის ნაწარმოებნი. ასეთ საბავშვო წიგნებს უფრო პრაქტიკულ-აღმზრდელობითი, მხატვრულ-დიდაქტიკური დანიშნულება აქვთ, ვიდრე მხატვრული მნიშვნელობა. ეს არის, თუ გნებავთ, ის აუცილებელი პარალელური შტო, რომელიც დიდი საბავშვო მხატვრული ლიტერატურის გვერდით არსებობს და ვითარდება. მას საბავშვო მწერლობაში მოქალაქეობრივი უფლებაც აქვს მოპოვებული, მაგრამ ეს არ არის ძირითადი და მთავარი ფორმა საბავშვო ლიტერატურისა.

ეს ფორმა არც იოსებ გრიშაშვილისათვის, როგორც საბავშვო მწერლისათვის, არის დამახასიათებელი. ის არის ბრწყინვალე პოეტური შედევრების ავტორი. მისი საბავშვო ლექსები და პოემები ყოველთვის გამოირჩეოდა მხატვრული სრულყოფით, პოეტური ფერადოვნებითა და სინათლით, უბრალოებითა და სიმსუბუქით. ეს თვისებები დიდად ემოციურს ხდიან და პოპულარობას უხვეჭენ ი. გრიშაშვილის საბავშვო ნაწარმოებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტის საბავშვო ლექსების აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალაც, რადგან მის ყოველ ნაწარმოებში იგრძნობა ჭეშმარიტი შემოქმედის მადლი და დიდი მხატვრის პასუხისმგებლობის გრძნობა მკითხველისა და საერთოდ ნაციონალური ლიტერატურული კულტურის წინაშე. ამით უნდა აიხსნას, რომ მან, მრავალ დამსახურებასთან ერთად, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა აგრეთვე ჩვენი საბავშვო პოეზიის მხატვრული ფორმის ამაღლების საქმეში.

აღსანიშნავი ისაა, რომ სქემატიური სიუჟეტიც, რომელიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ეპიზოდებისაგან შესდგება, პოეტის ხელში ნამდვილ მხატვრულ ფორმას იძენს. ისეთ სტილის წიგნებში, როგორიც არის „იყავით ფრთხილად", ხშირად პოეტები გაიოლებულ ხერხს მიმართავენ. ილუსტრაციებს უბრალოდ გარითმულ ლექსს მიუწერენ, კმაყოფილდებიან აზრის „ნათელი" გადმოცემით და უზრუნველობას იჩენენ მხატვრული ღირსების მიმართ.

უნდა აღინიშნოს (და ამის მაგალითს საერთოდ ცხოვრება ხშირად იძლევა) რომ ი. გრიშაშვილი არასოდეს არა ღალატობს თავის პასუხისმგებლობის გრძნობას და „უბრალო" თემის დამუშავების დროსაც ნამდვილი მხატვრული ღირსებების მქონე ნაწარმოებს ქმნის.

„იყავით ფრთხილად" ი. გრიშაშვილისათვის დამახასიათებელი პოეტური ოსტატობით არის დაწერილი. ყოველი ტაეპი მხატვრულად გამართულია და ბავშვებისათვის ადვილად დამახსოვრებელია. ლექსი დინამიკურია და სიცოცხლით აღსავსე, ბავშვის ბუნებასთან და სულთან შეფარდებული. ამ ნიშანდობლივი თვისებებით პოეტი აღწევს ადვილად მისაწვდომი და შთამაგონებელი გახადოს ნორჩი მკითხველისათვის ნაწარმოების ძირითადი იდეა.

აქ ყოველი კონკრეტული შემთხვევა ი. გრიშაშვილს ბავშვთა ყოფიდან აქვს აღებული და მათ უაღრესად დამახასიათებელ სიტუაციაში იძლევა.

სახლში უფროსები არ არიან. გოგონებმა განიზრახეს ერბოკვერცხის გაკეთება. აანთეს ნავთქურა, მაგრამ რადგან არ იცოდნენ, რომ ანთებულ ნავთქურაში ნავთის ჩასხმა არ შეიძლებოდა, ხანძარი გაჩინეს.

ოთახში, სადაც პატარა რეზო გაკვეთილებს უჯდა ბეჯითად, ბავშვებმა თავი მოუყარეს ძაღლს, კატას და თამაში გამართეს. ერთი შეხედვით აქ უცნაური არაფერია, მაგრამ ამასაც „საშინელება" მოჰყვა:

„კატამ ძაღლი გააბრაზა,
ძაღლმა კატას შეუღრინა,
რეზოს სწავლა არ აცალეს,
ათამაშდა ცელქი თინა...
დაითრია მურამ სუფრა,
გადმოვარდა ლამპის მინა,
და საშინელ ცეცხლის ალში
გაეხვია მთელი ბინა".

ასე ცოცხალი პოეტური ილუსტრაციის გზით ი. გრიშაშვილი ნორჩი მკითხველის ცნობიერებაში აღვიძებს სიფრთხილის გრძნობას. იგი დიდაქტიკურ რჩევა-დარიგებას კი არ აძლევს ბავშვს, არამედ მხატვრულად უჩვენებს გაუფრთხილებლობის საშინელ შედეგებს და ამით უფრო დამამახსოვრებელს, შთამაგონებელს ხდის ნაწარმოების ძირითად იდეას.

ყმაწვილები გაკვეთილებს ამზადებენ, დაიღალნენ, დაისვენეს და ასანთებით გართობას მიჰყვეს ხელი. ამ დროს მოულოდნელად შემოაღო კარი დედამ. ყმაწვილები დაიბნენ. ანთებული ასანთების ჩაქრობა ვერ მოასწრეს და უცბად მაგიდის ქვეშ შეჰყარეს. მათი განზრახვა მიღწეულ იქნა, დედამ ვერ შეამჩნია ბავშვთა ცელქობა და ყველა გარეთ გაგზავნა.

„და რა მოხდა? ალი მოხვდა
მაგიდის ქვეშ დადგმულ კალათს
და ერთ წუთში, ეს ოთახი
გადაიქცა ცეცხლის რკალად".

ასე საინტერესოდ არის დაწერილი წიგნი მთლიანად. იქ სიცოცხლით აღსავსე ბავშვთა ცქრიალა და მიმზიდველი სახეებია დახატული.

ყველა ბავშვი იქ თავის თავს, თავის მეგობარს დაინახავს, იგრძნობს პოეტის სიყვარულით დამოკიდებულებასაც, ხალისით წაიკითხავს მიმზიდველ სტრიქონებს და სამუდამოდ აღიბეჭდავს მეხსიერებაში პოეტის რჩევას — ყოველთვის ფრთხილად იყვნენ, როცა ცეცხლთან აქვთ საქმე.

ა. ერაძე

## დერენიკ დემირჭიანი
(სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო)

მოძმე სომხეთის მშრომელებმა ამ დღეებში აღნიშნეს ცნობილი მწერლის დერენიკ დემირჭიანის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი.

დ. დემირჭიანი დაიბადა საქართველოში, ახალქალაქში, 1877 წელს. დაწყებითი სწავლა-განათლება მიიღო ახალქალაქის სკოლაში, შემდეგ დაამთავრა თბილისის ნერსესიანის სასულიერო სემინარია. 1905 წელს იგი გაემგზავრა ჟენევაში, სადაც მან მიიღო უმაღლესი განათლება. დემირჭიანი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 90-იან წლებში. მის ლექსთა პირველი კრებული 1899 წელს გამოიცა.

დ. დემირჭიანი სომხურ საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატია. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 25 წლის მანძილზე იგი დაუღალავად მუშაობს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის, დამაჯერებელი ფერებით გვიხატავს სომეხი ხალხის სამეურნეო-კულტურული აღმავლობის პროცესს. 25 წლის მანძილზე მან სომხური საბჭოთა ლიტერატურა გაამდიდრა შესანიშნავი მოთხრობებით, რომანებით, დრამატიული ნაწარმოებებით და კრიტიკული წერილებით.

დემირჭიანი თავისი შემოქმედების დაწყების პერიოდში მეტწილად პოეზიის სფეროში მუშაობდა. ჩქარა მან ძლიერი მხატვრული ნიჭი გამოამჟღავნა პროზის ჟანრშიც. რევოლუციამდე დაწერილი მისი მოთხრობები: „ღლედელი", „ღიმილი", „ზედმეტი" დღესაც სომხური მხატვრული რეალისტური პროზის საუკეთესო ნიმუშებად ითვლებიან.

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ გარდატეხა მოახდინა მწერლის შემოქმედებაში; ამ დღიდან დემირჭიანმა ძირითად თემად გაიხადა საბჭოთა ადამიანის ცხოვრება, მისი სიყვარული სამშობლოსადმი და თავდადებული შრომა ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაწერა მისი შესანიშნავი მოთხრობები: „ეშელონი", „სათო", „აბდულა", „ნიგიარი", „დასასვენებელი სახლი", „რამიდი" და სხვ.

ამავე პერიოდში მან ათზე მეტი თვალსაჩინო დრამატიული ნაწარმოები შექმნა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფოსფორული სხივი", „გულადი ნაზარა" და სხვ. ისტორიულ თემას ეხება მისი პიესა, „სამშობლო მხარე"; იგი დიდი წარმატებით იდგმება ქ. ერევანში გ. სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

თავისი ნაყოფიერი და ენერგიული მუშაობა მწერალმა სამამულო ომის წლებშიც უფრო გააფართოვა და გაამრავალფეროვნა.

ომის წლებში დაწერილი მისი მრავალი მოთხრობა აღსავსეა მგზნებარე პატრიოტიზმით და მტრისადმი შურისძიების გრძნობით. დემირჭიანი დაუღალავად მონაწილეობდა საფრონტო გაზეთებში და ფრონტელებს მოუთხრობდა ზურგში მომუშავე ადამიანების გმირობის შესახებ. სამამულო ომის პერიოდში დემირჭიანმა დასწერა შესანიშნავი რომანი „ვარდანანქ". ეს რომანი აღწერს მე-5 საუკუნის ეპოქას. „ვარდანანქ" დღეს სამართლიანად ითვლება სომხურ ლიტერატურაში ერთ-ერთ უძლიერეს ნაწარმოებად.

მოძმე სომეხმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა თავისი ნიჭიერი მწერლის დ. დემირჭიანის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავი.

არტ. დავითიანი

## „სევდიანი რომანი"

გ. ქელბაქიანის კომედია „სევდიანი რომანი", რომელიც დასდგა თბილისის სანკულტურის თეატრმა, ასახავს ჩვენი ახალგაზრდობის ყოფაცხოვრებას. პიესის ძირითადი იდეა პროფილაქტიკის პროპაგანდაა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ავტორს საინტერესო სიუჟეტი გამოუნახავს და ჩვეულებრივი სამედიცინო-საგიტაციო ლოზუნგები საყურადღებო დრამატურგიულ ვითარებაში მოუცია.

„სევდიანი რომანი" უდავოთ აღმზრდელობითი მნიშვნელობის დრამატურგიული ნაწარმოებია. როლების აქტიორული შესრულება მაღალი შეფასების ღირსია. თამარის როლის შემსრულებელმა ნუცა კაკაბაძემ მშვენივრად წარმოგვიდგინა სიცოცხლით სავსე, პირველი სიყვარულით გულწრფელად გატაცებული, მაგრამ გულუბრყვილო და გაუფრთხილებელი ქალიშვილის სახე.

მოხდენილად ასრულებს თამარის მეგობრის—ელიკოს როლს მსახიობი მარო ერისთავი.

ახალგაზრდა ექიმი ლევან ლეშკაშელი სათანადო აქტიორული სითბოთი წარმოადგინა ნიჭიერმა მსახიობმა შ. ნარსიამ.

წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა მსახიობს ზ. ჩლაიძეს შოთას როლში. მან კარგად წარმოგვისახა გარეგნულად ლამაზი და ცბიერი მოარშიყის ტიპი.

მზრუნველი დედის—ქეთევანის როლი დაკვირვებით განასახიერა მსახიობმა ქსენია გორდელმა.

ექიმის ასისტენტი მედდა ერთ-ერთი საინტერესო სახეა ამ პიესაში. ეს სახე კარგი შესრულებით კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა მსახიობმა დარო მელიქიშვილმა.

ახალგაზრდა მსახიობი ვ. ნინიძე ამ პიესაში ასრულებს ექიმბაშ აგენტის არქიფოს როლს. იგი დაძვრება ექიმების კაბინეტებში, აგროვებს პაციენტებს ექიმბაშისათვის, არწმუნებს მათ, რომ იცნობს უებარ ექიმს, ვიღაც სკვინჩას, რომელიც ყოველგვარ ავადმყოფობას ორ კვირაში არჩენს. ეს როლი ახალგაზრდა აქტიორმა კომიზმით აღსავსე სცენიური ხერხებით განასახიერა.

ექიმბაშ სკვინჩას ვხედავთ მხოლოდ ერთ სურათში, მაგრამ მსახიობმა კ. მაჭარაძემ მოგვცა ამ ტიპის საინტერესო სახე. (ამავე როლს თავისთავის ჩვეული კომიზმით ასრულებს ჩვენი სცენის ძველი მსახიობი გ. პავლიაშვილი). სხვა შემსრულებელთა შორის აღსანიშნავი არიან ნინო ერისთავი (პილასი), ვ. კველიშვილი (მალომა) და ვ. გოზალიშვილი (ძუკუ).

კარგია მუსიკა, რომელიც ეკუთვნის კომპოზიტორ ვ. კურტიდს. მხატვრული გაფორმებისთვის ახალგაზრდა მხატვარს კ. ნინიძეს მოუნახავს გონებამახვილური გადაწყვეტა.

სარეცენზო სპექტაკლი (რეჟ. მეძმარიაშვილი) თბილისის სანკულტურის თეატრის მორიგ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

პ. თუშიშვილი



მსახ. შ. ნარსია ლევან ლეშკაშელის როლში ნუცა კაკაბაძე თამარის როლში, ნინა ერისთავი პილასის როლში, ზ. ჩლაიძე შოთას როლში.

ლიტერატურული კალენდარი

## ბარბარე ჯორჯაძე
(50 წლისთავი გარდაცვალებიდან)

[illegible]

„მამათა და შვილთა" პაექრობაში, თამამად შეიძლება ითქვას, ბარ. ჯორჯაძე პრინციპული და შეუპოვარი პოლემისტი იყო. იგი მამების ჯგუფს ემხრობოდა.

ბარ. ჯორჯაძეს მხოლოდ შინაური განათლება ჰქონდა მიღებული ძველ და ტრადიციულ ქართულ ოჯახში. იგი იყო და პოეტ რაფიელ ერისთავისა. ბ. ჯორჯაძე დაიბადა 1834 წლის 4 (16) დეკემბერს სოფ. ქისტაურში (თელავის რაიონი) მცხოვრებ თავად დავით ერისთავის ოჯახში. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 24 წლისა (1858). უკვე ჯორჯაძეზე გათხოვილი იყო. ბ. ჯორჯაძე დაუღალავი თანამშრომელი იყო „ცისკრისა", რომლის დახურვის შემდეგ თანამშრომლობდა სხვა ქართულ [illegible]ბისათვის. „მიმობელს დედას, ცოლს და ასულს ისე როგორ დაამდაბლებთ, რომ ცბიერს ხდით, სულს უწუხებთ, მუდამ მ[illegible]როტებას სწამებთ?! — მიმართავდა იგი ერთ ლექსში თავისი დროის მამაკაცებს, თანაც ურჩევდა:

დარწმუნდით რომ ამხანაგათ
შევქმნილვართ და უნდა ვიყოთ,
მაშ აღვზარდეთ ზნითაც კარგად,
რომ ყოველ მხრით სრული ვიყოთ.

გარდაიცვალა 1895 წლის 12 (24) აპრილს ქ. თელავს, დაკრძალულ იქნა იქვე შესაფერი პატივით.

ს. ცაიშვილი

## რაიონულ თეატრებში

### გორი

გორის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი". პიესა დასდგა რესპ. სახ. არტისტმა პ. ფრანგიშვილმა, დეკორაციულად გააფორმა ი. იაქაშვილმა, მუსიკა დასწერა რ. გოგნიაშვილმა. მთავარ როლებს ასრულებდნენ: თ. ერისთავი (ასმათი), შ. ხერხეულიძე (მალვა საბაშვილი), დ. ოქრომცვარიძე (დოლგათ ფარნიოსი), შ. ხაჯალია (ბადრი), გ. კაკალაშვილი (მურთაზი).

ამჟამად თეატრი ამზადებს გ. გაბუნიას პიესას — „ქრისტინე" (ე. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით). პიესას სდგამს რეჟისორი ს. ვაჩნაძე. მთავარ როლებს ასრულებენ: ლ. გურგენიძე (ქრისტინე), დამს. არტისტი თ. აბაშიძე (მარიკა), ა. შონია (დათია), შ. ხერხეულიძე (ისონი), შ. ბახტაძე (ლევანი) ს. კალანდარაშვილი (ბეჟანი), ნ. ბეროზაშვილი (სონა).

სეზონის დახურვამდე თეატრი დასდგამს ა. ოსტროვსკის „უმზითვოს" და გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორას".

### ხაშური

ხაშურის სახელმწიფო თეატრმა პირველ მაისს მაყურებელს უჩვენა თავისი პირველი პრემიერა „კავკასიის მთებში". პიესა „კავკასიის მთებში" ეკუთვნის ახალგაზრდა დრამატურგს ი. ტურიაშვილს. პიესის თემაა კავკასიის გმირული დაცვა გერმანელთა ფაშისტური ურდოების შემოსევისაგან.

„კავკასიის მთებში" დასდგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა ოთარ ალექსიშვილმა. სპექტაკლი გააფორმა მხატვარმა არჩილ ჟორდანიამ, მუსიკა დასწერა გიორგი ახობაძემ; მშვენივრად ასრულებდნენ როლებს გიორგი ომიაძე (თანაშემწე), თინათინ ბურბუთაშვილი (გალინა), ნიკოლოზ თევდორაშვილი (ივანოვი), მიხეილ მაზმიშვილი (აბაშიძე), კო[illegible] ანთაძე (ჩიკინი), მალვა მაჩაიძე ([illegible]კანდერი), ივანე ჯორჯაშვილი (გლ[illegible]კო), ირაკლი თურმანიძე (დევდარ[illegible]ხი), მოსე კვალიაშვილი (გერმანე[illegible] დარაჯი).

ამ პირველი დადგმით თეატრის კოლექტივმა გვიჩვენა თავისი შესაძლებლობა და მაღალი გემოვნება. კოლექტივმა ამ დადგმით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე.

### ოჩამჩირე

სულ რამდენიმე თვის წინად ჩამოყალიბდა და სერიოზული შემოქმედებითი მუშაობა დაიწყო ოჩამჩირის ადგილობრივი სცენის მოყვარეებისაგან შემდგარმა, რუსულ-ქართულმა დრამატულმა კოლექტივმა.

თეატრის ახალ შენობაში დაბინავებულმა კოლექტივმა მეტი ენერგიით გააჩაღა მუშაობა. ქართულმა კოლექტივმა „არშინ-მალ-ალანის" დადგმის შემდეგ მაყურებლებს უჩვენა ა. ცაგარლის „ხანუმა". პიესის დამდგმელმა: რეჟისორმა მ. ბახტაძემ, მხატვარმა გ. წვერავამ, ახალგაზრდა მუსიკოსმა ესებუამ, ქორეოგრაფმა ხერხეულიძემ დამაკმაყოფილებელი სპექტაკლი შექმნეს.

პიესაში როლების კარგად შესრულებით გამოირჩეოდნენ: ყალიჩავა, დიკონიძე, კახაძე, შენგელია, წვერავა და სხვები.

ქართულმა კოლექტივმა აგრეთვე დასადგმელად მოამზადა „ლეიტენანტი გამიდოვი". პიესა ასახავს სამამულო ომის ერთ-ერთ გმირულ ეპიზოდს. პიესის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ბახტაძეს, მხატვრობა — წვერავას, მუსიკა—ესებუას.

## „მნათობი" № 2-3

გამოვიდა ჟურ. „მნათობის" № 2-3. ჟურნალში მოთავსებულია: ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა (1945 წ. 23 თებერვალი № 5, ქალ. მოსკოვი). ალ. აბაშელი—„წითელ არმიას", „საბჭოთა კავშირის გმირს დავით ბაქრაძეს", „წიგნსაცავში", „აბრეშუმის ფაბრიკაში" (ლექსები), სერგო კლდიაშვილი — „გორიგასლანის თასი" (მოთხრობა), კოლაუ ნადირაძე—„მზეს", „როს შენი დილა გამომაცოცხლებს" (ლექსები), აკაკი გაწერელია — „მოურავი" (ნაწყვეტი მოთხრობიდან), სანდრო შანშიაშვილი—„დედა" (პოემა), როდიონ ქორქია—„მზე წითლად ამოდიოდა" (მოთხრობა), კალე ბობოხიძე—„წერილი პრუსიიდან" (ლექსი), ალეკო შენგელია—„ლავრენტი ბერია თბილისში", „გაზაფხული მოვიდა" (ლექსები), ბონდო კეშელავა—„დედის სიმღერა", „ცაცხვების ჩრდილში" (ლექსები), გიორგი კაჭახიძე—„სიმღერა" (მოთხრობა), პლ. ასანიძე — „აკაკი ოპერის ბალში" (ლექსი), ი. გრიშაშვილი—„აკაკის უცნობი პიესა", აკაკი წერეთელი—„გახთიადი" (პიესა).

კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია წარმოდგენილია შემდეგი წერილებით: გერონტი ქიქოძე—„აკაკი წერეთლის ლირიკა", ალ. ჭეიშვილი—„მხატვრული სახის დინამიკა ვაჟა-ფშაველას პოემებში".

მეცნიერებისა და ფილოსოფიის განყოფილებაში დაბეჭდილია ალ. ქუთელიას „ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფია და მისი „ძირითადი მარცვალი".

განყოფილება — მოგონებანი — წარმოდგენილია შემდეგი მასალებით:

სანდრო შანშიაშვილი — „რამდენიმე შეხვედრა აკაკისთან", სერგო კლდიაშვილი — „მოგონებანი აკაკი წერეთელზე", ვარლამ ძიძიგური—„აკაკი წერეთელი", დავით სულიაშვილი—„ყრმობა".

ქეთევან ირემაძე

## მუხნარში
(თავი ისტორიული რომანიდან—„ქეთევან")

თხოთის მთები ციხეულ ჩრდილს მოეცვა. თენდებოდა. ღაფალი ნისლი ხევს გადაღმა იცარებოდა. მოსალბუნე სიგრილეში ნაადრევი გაზაფხული იგრძნობოდა. ცის მკერდიდან ჩამონაწურ ნამს ფარღულივით დაერთვილა ყვავილთ ნასკვ-გვირგვინები. ციმციმებდნენ ტირიფის საყურეები. თვლებ ასხმული ციკნიყურა ვენახებში ჩაქარგულიყო. გვირგვინ სისვი ყოჩივარდა ბუჩქნარებში ღუოდა, ხოლო ნახნავებში უდარდელად ფშვინავდა სავარცხელა.

მუხრან ბატონთა სასახლის ხეივანს არშიებად უვლიდა ცისთვალი, ენძელა, თეთრყვავილა. მინდვრის ყვავილები შორით ისე მოსჩანდა, თითქოს სამეუფო ხეივანს მთვარის შუქი უცხო შარავანდედათ მისდგომოდა. ეზოს შუაგულ კამკამა ზმულა მოჩუხჩუხებდა. ირგვლივ იდუმალი მყუდროება სუფევდა. ხანგამოშვებით, გუშაგთა ნაბიჯების ხმა და აბჯრების ჩხარუნი, თუ აღწევდა სასმენელს, ანდა, ტყის ფრთოსანი კლდის შუბლს რომ მოსწყდებოდა და თავქვე დაეშვებოდა.

ტყის გაღმა ხმაურობა გაისმა და კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

სასახლის კოშკიდან გუშაგებმა ძახილი შექმნეს.

ტევრი აშრიალდა და მალე აჩქარებული ცხენების თქარუნიც მოისმა.

— მხედრები მოჰქრიან! — გაისმა გოდლებიდან.

გუშაგმა ქეშიკს რაღაც აცნობა. ქეშიკი შიდა ოთახებისაკენ გაექანა.

ცხენოსნებმა ხიდს ჩაუქროლეს. ციხე-კოშკს რომ გაუსწორდნენ, გუშაგები დადუმდნენ, ეტყობოდათ, მხედრებმა ნიშანი მისცეს.

ციხე-დარბაზიდან სასახლის შინა-ყმა გამოლაგდა. გაიღო გალავნის კარი. ქეშიკებმა თავი მოწიწებით დახარეს. მოსულთ სალამი უძღვნეს. ჩამომხდარ მხედრებს მუხრან ბატონი და მჭაბუკ ერისთავი შეეგებნენ.

მუხრან ბატონსა და მოსულთ კიბე არც ჰქონდათ ავლილი, რომ ზედა ყათარი განათდა, ხაზალი კარი გაიღო და გარეთ მაღალი მანდილოსანი გამოვიდა. ტანთ შალ-ჩიგანის კაბა ეცვა, ზედ ბუთადარის სარტყელი ჰქონდა შემოვლებული; მის ნატიფ სახეს შფოთი აფენოდა. ირგვლივ შიმუნვარები მოსჯროდნენ, ჩარდახს ჩაუარა და, როცა ბანს გაუსწორდა, შედგა. გაოცებულმა შეიძახა:

— ბაიათარ!

— გახლავართ დედოფალო!

— რა ამბავია?

მოსულთ სწრაფად აიარეს კიბე და დედოფალს ცალ მუხლზე დაცემულებმა თაყვანი სცეს.

— თქვენთან მოვისწრაფით.

— მობრძანდით, — წარმოსთქვა მუხრან ბატონმა და მოსულთ დარბაზისაკენ გაუძღვა.

— საზარ ამბის თქმას სიკვდილი გვიჯობს, — წამოიძახა ვაჩნაძემ.

— ბაიათარ, ნუ ჰყოვნი, — გაისმა სასტიკი ხმა ქეთევანისა.

— ხშირ ბინდი გახლდათ დედოფალო ორშაბათს, — დაიწყო ბაიათარ ვაჩნაძემ, — ალექსანდრე მეფე და კონსტანტინე ბატონიშვილი ქალაქს გეახლათ. იმ ღამეს ვახშამი ჩვენთან მიირთვეს. მეორე დღეს კონსტანტინემ ალექსანდრე მეფესთან ისურვა განცალკავება. მეფემ იგი თავისი მხლებლებით დარბაზში შეიწვია. ჯერ სჯა არც დაეწყოთ, რომ ატყდა ალიაქოთი, ხმლების ჩახი-ჩუხი. მოგვიკლეს მეფე ალექსანდრე, გიორგი ბატონიშვილი, უსჯულოს ხელით დაგვეღუპა ეპისკოპოსი რუსთველი და მისი ძმა აბელი.

მთელ დარბაზს ელდა ეცა, აქვითინდა.

— სპარსთ ბანაკიდან საყვირთ ძახილიც გაისმა, — განაგრძობდა ვაჩნაძე, — ახლა მათ კახთ ულეტა იწყეს. მეფე ალექსანდრეს და გიორგი ბატონიშვილის თავები ქუჩა-ქუჩა დაჰქონდათ შუბებზედ აგებული... კონსტანტინე კახეთის ხანად გამოაცხადეს.

— კახნი დამორჩილდნენ? — ყრუდ სთქვა ქეთევანმა.

— ნუ იტყვით, დედოფალო! ქვეითანი თუ ცხენოსანნი ექვეთნენ სპარსთ. შეიქნა უწყალო სისხლის ღვრა. ლანის მხრიდან ლეკის ჯარიც დაგვესხა თავს. ბრძოლა დიდხანს გასტანდა, მაგრამ მახვილ ამოწვდილმა აღათანგ ჩოლოყაშვილმა კახთ მიმართა: „ეს სისხლის ღვრა სამეფო ოჯახს გვარით მოსდევსო, სპარსელნი ქართველთ არ ერჩიანო". წარხდა ყოველი. ხალხი აიბნა. ბნელმა დაფარა დიდება ჩვენი.

— ასლანიშვილი სადღა იყო?

— ყადორს ჩაბრძანებულიყო, ომანიშვილიც ქიზიყს გასულიყო. ნუგზარ ჯორჯაძემ ტყეს შეაფარა თავი, ივრის ხეობაში აპირებს გამაგრებას.

— რევაზ ვაჩნაძე?

— კახთ განუდგა.

— კმარა... უბრძანეთ ცხენები გამიმზადონ... ისწრაფე ბაიათარ, ნუგზარს გადაეც ნაფირის დაძახილზე სასახლის ციხეს მიმართოს, მე მუნ დავხვდები...

* * *

მიჰქროდა დედოფლის ტაიჭი. შორი-ახლო დიდებულთა გუნდი მიჰყვებოდა. ტყე-ტყე მიდიოდნენ. ტირიფი, რცხილა, მუხნარი რიგ-რიგად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

ფიქრი იტაცებდა დედოფალს. მსწრაფლ უნდა განეჭვრიტა სამოქმედო გზა. მტკიცედ სწამდა: მივა და ფიცხლავ მაშველ ლაშქარს გამოითხოვს, გაფანტულ რაზმებს შეაგროვებს და რისხვას დასცემს უსჯულოს.

ბილიკები მოთავდა. შარა-გზა დაიწყო. არაგვი, თეთრი, ვით ბროლის ნალესი, რისხვითა და ზავთით აწყდებოდა ფაფარაყრილ კლდეებს. უდაბური ტყით მოსილი მთები შუბ ამართულ ჯარივით მოსდგომოდნენ ნაპირებს.

დედოფალს ღიმილის პირი არ უჩნდა. „ღვთის გარეგანს ქრისტიანი მეფე მოუსპია, — ეუბნებოდა იგი თავისთავს, — ისწრაფვის ფეხქვეშ გათელოს ყოველი, ვერ დაუდგეს კახთა მძლე მარჯვენას მტერი შეჩვეხებული... ვფიცავ ზეცას, არ დაგახებებ მამისა და ძმის სისხლში განბანილ სამეუფო გვირგვინს, რისხვამან ჩემმან მოგსრას შენ".

ზედაზნის ციხეს გვერდი ჩაუარეს, თორღი გადალახეს და ხეობაში შესულთ, ქეთევანს მოახსენეს: შესასვენებლად მათ ღვთაების მონასტერი შეერჩიათ. მონასტრამდე სამი ეჯი-ღა დარჩენილიყო.

მწუხრი ქუფრად დაეშვა, როცა ისინი მონასტრის ეზოში შევიდნენ. მწირი იოანე მთელი თავისი კრებულით მოწიწებით დაუხვდა დედოფალს.

ყველა დაბინავდა.

ნიავი მიწყნარდა. წყვდიადმა ნისლის საფარველით ნაზად შებურა მთები. მწვერვალებმა სითბო იგრძნეს, თითქოს თავი ჩაჰკიდეს. მყუდროება და ძილნარევი მოსვენება დაეუფლა ბუნებას.

დედოფალი ცალკე სენაკში განისვენებდა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა მის თვალებს. ბოლმა მოსწოლოდა ყელს, რაღაც თითქოს აშთობდა. წამოდგა. სახატეს მიუახლოვდა, დაეცა მუხლზე, მიწად დახარა შუბლი მაღალი. გადმოეშვნენ თმათა ჯალჯები. დადგა ვედრებად. ეს ჩვეულებრივი ლოცვა როდი იყო. ეგი წყევა იყო, წყევა შეშფოთებული სულისა.

„შენ დაუსაბამოო და დაუსრულებელო ღმერთო, მოაწიე რისხვა მას ზედა, — გაისმა ათროლებული ბაგის ხმა, — ნუმცა უხილავს მას ნათელი ღვთაებისა შენისა, ნუმცა მიეცემის მას წყალობა შენი, ნუმცა ცვარისაგან ზეცისა, ნუმცა ნაყოფისაგან ქვეყნისა. იყავ სამკვიდრებელი მისი ოხერ და ნაშობნი მისნი, ვითარცა ნაშობნი იქედნესანი. მოლოდებასა შინა წყალობისასა რისხვა შენი ეწიენ მას; გონებისა, ცნებისა და ხედვისაგან ოხერ ყავ იგი, ღმერთო! და შენ სისხლის დამღვრელო მამისა და ძმისაო! გრისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა. კრულმცა არს ძილი და ღვიძილი შენი, სამყოფი და საფლავი შენი. შენმცა — გედების კეთრი გეეზისი, შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი, ქრისტეს ჯვარისმცემელ თანამცა დაინაწილების სული და სახსენებელი შენი. კრულ იყავ უხსნელითა საკრველითა შენ, ნატამალითურთ შენით. იყოს ხვედრი შენი ხვედრი სატანასი, რომელ კაცისმკვლელ არს საუკუნითგან"... ბაგე თავისით იპობოდა მწველ სიტყვების სათქმელად. ქეთევანი განაგრძობდა: „იყავნ წყეულ, ვითარცა კაენ ძმის მკვლელი, შეჩვენებული, ვითარცა ქამი, მამის მაგინებელი, შერისხებულ, ვითარცა ეროდე ყრმათა მომსრველი და ნათლისმცემლის თავისმკვეთელი, შიშთვილეულ, ვითარცა იუდა ქრისტეს გამცემელი წაწყმედილი ვითარცა ნერონ, დომეტიანე, დეოკლიტიანე და მაქსიმიანე მეფენი, რომელთა დაღვარეს სისხლი იოანე მახარობლისა, პეტრე-პავლესი და წმინდათა მოწამეთაი. იყავნ, იყავნ!..."

წამოდგა. შავი ღრუბელი მოშორდა მის ნათელ სახეს. თითქოს დამშვიდდა კიდეც. გარეთ გამოვიდა. სივრცეს გახედა.

მთის შუაგულ მთვარის შუქზე თეთრად კიაფებდა ბელტის ციხე. ნაზის შიშინით თრთოდნენ ძილგატეხილი ჟერხვები. ნუშის შებუტკოებულ რტოზე გულწითელა სთვლემდა. დედოფალი ფეხაკრეფით მიუახლოვდა. ერთხანს გულთბილად შესცქეროდა ჩიტს. ირგვლივ დუმილი იყო, სოფლის ხმა სავანეს ვერ აღწევდა.

ახალი დილა იყო, როცა მხედრები ადგილიდან კვლავ დაიძრნენ. მინდორ-ველი არ ილეოდა. ყანას ყანა სცვლიდა. გლეხები ხნავდნენ, ფოცხავდნენ, ტყეს კაფავდნენ და ჯაგნარისაგან სწმენდნენ. ქეთევანის დანახვაზე ყველა თავს ხრიდა. დიდებულთ არ უკვირდათ, რომ დედოფალი ჩვეულებისამებრ არავისთან შეჩერდა და სათნოებით არ მოიკითხა ყოველი მათგანი.

მხედრებმა ფეხს აუჩქარეს. მაღლიდან მოსჩანდა ტყითმოსილი ფერდობები, ჭალარ-ნაჭარბი მთები, თვალუწვდენი ტაშირები.

ხეობაში ჩამოწოლილი ნისლი მაღლა იწევდა.

გაღმა, წიფლიანთან, ცხენოსანთა რაზმი გამოჩნდა. ჭენებით ხეობას მიჰყვნენ, მდინარე გადასჭრეს და დედოფლისაკენ გამოიმართნენ.

ჯავშანში მჯდარი მხედარი არაგველი ცხენიდან ჩამოხდა, სხვანიც ჩამოხდნენ.

ქეთევანმა ხელი აღმართა:

— სალამი მოძმეთ, მოსულთ ჩვენდა შველად! იცოცხლოს მეფემ ქართლისა და დღეგრძელ იყოს ხალხი მისი!

— იცოცხლოს, იცოცხლოს! — გაისმა კახთ შეძახილი.

— დღეგრძელ იყოს კახეთი და მიენიჭოს მას გამარჯვება! — წარმოსთქვა იორამ ერისთავმა.

— ჭეშმარიტად! — იყო პასუხი ქეთევანისა.

— განსაცდელის ჟამს ქართლი მზად არის თქვენდა ერთგულებისათვის, — დაიწყო სამოცდაათი წლის ბეჟან მახაბელმა და დაბლა დახარა თავი დედოფლის წინაშე. — ვერ დათრგუნოს კახთმძლეობა ქვეყნის ორგულმა.

— ვერ დათრგუნოს!

— ვერ დათრგუნოს!

ზარის გუგუნივით მიმოიბნა ხმები სივრცეში.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა, № 13. ტელეფონი 3-47-10.

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი".

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 0031